



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N20

ქ.ლანჩხუთი

15.12. 2016 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მომართვის საფუძველზე, რომლის შესაბამისად საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 2016 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელამემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 11 თვის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა შემცირდეს არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 55 100 ლარი, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლის შემოსავალი 100 000 ლარი, შემოსავლების შემცირების შესაბამისად შემცირდეს ხარჯვითი ნაწილი 155 100 ლარით, მათ შორის; ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება (ჯიხეთი) 55 000 ლარით, ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსება 85 000 ლარით, გამგეობის არაფინანსური აქტივების ხარჯი 14 000 ლარით, ასევე გამგეობის ხელფასის ფონდის 18 000

ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდი 1 000 ლარით, ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 7500 ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 2 400 ლარი, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 6 000 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 13 630 ლარის და ვალდებულების კლების 1 623 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლის დაფინანსება 15 253 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4 607 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდის მუხლი 4 607 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 26 395 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდის მუხლი 26 395 ლარით. ამასთან, მან აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით 366 849 ლარი, რომელიც უნდა აისახოს როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვადემ** აღნიშნა, რომ თავის დროზე ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე შემოვიდა ინიცირებული პროექტით ჯიხეთის მონასტერთან დაკავშირებით, რომელსაც 31 დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. აქედან გამომდინარე, დეპუტატმა განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ამოღებას ბიუჯეტიდან ის არ ეთანხმება. ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი შესწორებული სახით შემოტანილ იქნას თავიდან და მას შესაბამისად, მხარს დაუჭერს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ამოღება ბიუჯეტიდან და ბუნებრივი რესურსების შემოსავლების შემცირება პასუხობს მხოლოდ ერთ მიზანს - ხელოვნურად იქნას გაზრდილი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატ გიორგი ჩახვადის მიერ გამოთქმულ აზრს. მან განაცხადა, რომ ის მხარს არ დაუჭერს ბიუჯეტიდან იმ პროექტის ამოღებას, რომელიც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს. დეპუტატისთვის მიუღებელია ბუნებრივი მოსაკრებლის შემოსავლების შემცირება, აგრეთვე სხვა პუნქტებიც. მისი აზრით, ბიუჯეტის პროექტის პუნქტობრივად განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას პრობლემები. აქედან გამომდინარე, განსახილველად შემოტანილი არ უნდა იქნას ისეთი პროექტები, რომლებიც შესასრულებლად რთულია.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მას, როგორც ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატს, მორალური უფლება არ აქვს, რომ მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ საკითხს, მით უმეტეს, როცა ჯიხეთის მონასტრის პროექტის განხორციელებას თავის დროზე საკრებულოს 31 დეპუტატმა ერთსულოვნად მიიღო.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტის ამოღებაზე არაა საუბარი, პირიქით, ამ მიმართულებით იგეგმება 15 000 ლარის დამატება. ჯიხეთის მონასტრის პროექტთან დაკავშირებით არქიმანდრიტ ანდრიას მხრიდან არის თხოვნა, რომ მონასტრისკენ მიმავალ გზაზე, იქ, სადაც აღმართები და გაუვალი მონაკვეთებია, დაიგოს ბეტონის გზა. ამ ეტაპზე ეს უფრო აუცილებელია.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს, რადგან ჯიხეთის მონასტრის პროექტი შარშან უნდა შესრულებულიყო, ახლა კი, პროექტის ბიუჯეტიდან საერთოდ ამოღება განიხილება. ამასთან, დეპუტატმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ იყო დაპირება

ეკონომიის ხარჯზე სუფსის ცენტრში დაგებულიყო ასფალტის საფარი, მაგრამ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას მხარს დაუჭერს, მაგრამ ინფრასტრუქტურული პროექტების შემცირებას არ ეთანხმება. მან განაცხადა, რომ ის თავის დროზე დაინტერესდა, თუ რატომ არ განხორციელდა ჯიხეთის მონასტრის პროექტი, რომელიც საკრებულომ ერთსულოვნად დაამტკიცა, რაზეც მაშინ მუნიციპალიტეტის გამგებლიდან მიიღო პასუხი, რომ ეს არის გარდამავალი პროექტი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ეს იყო საკრებულოს მიერ ინიცირებული პროექტი, რომლის შესრულებით ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდებოდა, მაგრამ ხორციელდება 31 დეპუტატის მიერ ერთსულოვნად მხარდაჭერილი პროექტის იგნორი.

საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **კახა ურუშაძემ** მოუწოდა დეპუტატებს, მხარი დაუჭირონ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, შესაბამისად, მოხდება საკითხის განხილვა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე. რის შემდეგაც დაიდება სათანადო დასკვნები. ამასთან, დეპუტატმა გულისტკივილი გამოთქვა, რომ ოპოზიციის მხრიდან ადგილი აქვს საბოტაჟის მცდელობას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ოპოზიციის კუთხით ნამდვილად არ უდგება ამ საკითხს. მან წინადადებით მიმართა საკრებულოს დეპუტატებს, რომ წარმოდგენილი საკითხიდან ამოღებული იქნას პროექტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჯიხეთის მონასტერს და კენჭი ეყაროს დანარჩენ პროექტებს. მან აღნიშნა, რომ თავის დროზე საკრებულოს მიერ ამ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მოქალაქეები ქუჩაში მაღლობას უხდიდნენ საკრებულოს წევრებს. პრესაშიც გაშუქდა ინფორმაცია ამ პროექტთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ამჟამად კი საუბარია ე.წ. „სეკვესტრზე“, რაც დეპუტატის აზრით, ძალიან გულსატკეპია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არქიმანდრიტ ანდრიას მხრიდან თხოვნაა, გამოყოფილი თანხით გაკეთდეს პირველ რიგში ის, რაც ამ ეტაპზე მონასტრისთვის უფრო მნიშვნელოვანია. რაც შეეხება, პროექტის შეუსრულებლობას, ეს გამოწვეულია ადგილობრივი შემოსავლების სიმცირით, რადგან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა გაცილებით მცირე თანხა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. კარიერები თითქმის არსად არ მუშაობს. ბიუჯეტში იმის 50 %-იც არაა ჩადებული, რაც კარიერებიდან უნდა შემოსულიყო.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ის ოპოზიციაში არასდროს არ ყოფილა და დეპუტატების მხრიდან არავითარ საბოტაჟს არ აქვს ადგილი. თავის დროზე ამ პროექტის მიღებას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი, მათ შორის დეპუტატმა **კახა ურუშაძემ**. ახლა კი, სწორედ ამ პროექტის ამოღება ხდება ბიუჯეტიდან. ამასთან, ის

დაინტერესდა, თუ რატომ არაა საუბარი 85 000 ლარზე, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანდაფინანსებით უნდა მოხმარებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **კახა ურუშაძის** გამოსვლამ უკმაყოფილება და ხმაური გამოიწვია დეპუტატებს შორის და მათმა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა.

დეპუტატი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, თუ რა იგულისხმება ე. წ. „სეკვესტრში“, რამ გამოიწვია პროექტების შემცირება და რომელი გარე ფაქტორებითაა ყოველივე ეს განპირობებული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ეკლესია არის დამოუკიდებელი, სახელმწიფოსგან გამოყოფილი. დეპუტატის აზრით, საკრებულოს სხდომას უნდა ესწრებოდეს არქიმანდრიტი ანდრია, რათა მასთან მოხდეს შეთანხმება, მონასტრისთვის პირველ რიგში რისი გაკეთება უფრო აუცილებელია.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გამოაცხადა 15 წუთიანი შესვენება.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის გაგრძელების შემდეგ სხდომას ესწრებოდა 10 დეპუტატი. ქვორუმის არ არსებობის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომის მომდევნო დღისთვის გადატანის შესახებ. იქვე განმარტა, რომ 16 დეკემბერს დანიშნულ რიგგარეშე სხდომაზე მოხდებოდა აღნიშნული საკითხის დღის წესრიგში დამატება და განხილვა.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო